

შპს საინფორმაციო კომუნიკაციების სისტემები

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგებები

სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	7
საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	10
2. მომზადების საფუძველი.....	10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები.....	11
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა.....	12
5. წინა პერიოდის კორექტირებები და რეკლასიფიკაციები.....	15
6. ამონაგები	17
7. ტრანსპროტირების ხარჯი	18
8. იჯარის ხარჯი	18
9. სხვა ხარჯები	18
10. ფინანსური ხარჯი	18
11. ძირითადი საშუალებები.....	19
12. არამატერიალური აქტივები.....	20
13. გაცემული სესხები.....	20
14. სავაჭრო და სხვა მოხოვნები.....	20
15. ფული და ფულის ეკვივალენტები	22
16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	22
17. მიღებული სესხები.....	22
18. დაკავშირებული მხარეები.....	23
19. პირობითი აქტივები და ვალდებულებები	23
20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	24

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „საინფორმაციო კომუნიკაციების სისტემების“ ხელმძღვანელებს და დამფუძნებელს,

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „საინფორმაციო კომუნიკაციების სისტემების“ (შემდგომში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - “პირობითი მოსაზრების საფუძველი” - ნაწილში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებს, საკუთარი კაპიტალისა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზო მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოების (მსს ფასს) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიამ მიღებული სესხები თანხით 10,174,650 და 4,950,177 ლარი, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარადგინა გრძელვადიანი ვალდებულებების სახით. ჩვენ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება, რომ აღნიშნული ვალდებულება უნდა წარედგინა როგორც მოკლევადიანი ვალდებულება, რადგან კომპანია არღვევდა ამ სესხთან დაკავშირებით ზოგიერთ ფინანსურ და არა-ფინანსურ შეზღუდვას და გამსესხებელს ჰქონდა უფლება ვალდებულების უპირობოდ და შეუქცევადად გამოხმობისა. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა მიღებულ სესხებთან და ფინანსური ანგარიშგების სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

კომპანიამ 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდებისთვის დააკაპიტალიზა ფინანსური ხარჯები დაუმთავრებელ მშენებლობაზე 425,768 ლარის და 180,362 ლარის ოდენობით, შესაბამისად. მსს ფასს-ების 25-ე განყოფილების "ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები"-ს მოთხოვნების შესაბამისად ფინანსური ხარჯები უნდა აღიარებულიყო სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხარჯის სახით, რაც წარმოადგენს მსს ფასს სტანდარტებიდან გადახვევას.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლად ვართ კომპანიისგან, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტრთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბაზოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტრთა ეთიკის კოდექსის“ ფინანსური ანგარიშგების აუდიტის საქართველოში არსებულ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

დასკვნის მოდიფიცირების გარეშე, გვსურს, ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების მე-2 შენიშვნაზე (მომზადების საფუძვლები - ფუნქციონირებადი საწარმო), სადაც აღწერილია, რომ კომპანია არღვევდა მიღებულ სესხთან დაკავშირებით ზოგიერთ ფინანსურ და არა-ფინანსურ შეზღუდვას და გამსესხებელს ჰქონდა უფლება ვალდებულების უპირობოდ და შეუქცევადად გამოხმობისა, 11,227,200 ლარის ოდენობით. ზემოაღნიშნული მოვლენა მიუთითებს, რომ არსებობს მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა განაგრძოს, როგორც ფუნქციონირებდნე საწარმოდ.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელზეც პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა და რომელიც შეიტანება მმართველობის ანგარიშგებაში, არ გვქონდა მიღებული აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას. სავარაუდოდ, მმართველობის ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის უნარი, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობასთან და ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის გამოყენებაზე, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადგენსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:



დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-735032)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

20 ნოემბერი 2025

შპს „საინფორმაციო კომუნიკაციების სისტემები“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს


(ლარი)

		შენიშვნა	2024	2023*
ამონაგები	აგ	6	13,257,438	12,534,658
სხვა შემოსავალი	აგ		90,112	47,984
თანამშრომელთა სარგებელი			(6,609,153)	(5,598,286)
ტრანსპორტირების ხარჯი		7	(4,105,156)	(3,646,753)
მოთხოვნების გაუფასურების ცვლილება			20,824	(72,929)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	აგ		(227,539)	(259,918)
საიჯარო ხარჯი		8	(193,458)	(226,127)
სხვა ხარჯები	აგ	9	(978,494)	(1,025,016)
საოპერაციო მოგება			1,254,574	1,753,613
ფინანსური ხარჯი		10	(372,960)	(136,527)
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი), წმინდა			(46,306)	22,840
მოგება დაბეგრამდე			835,308	1,639,926
მოგების გადასახადის ხარჯი			-	(12,074)
წლის წმინდა მოგება			835,308	1,627,852

(*) გადანაგარიშებული. დეტალებისთვის იხილეთ მე-5 შენიშვნა.


მოთხოვნების გაუფასურების პოლიტიკა
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 20 ნოემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი



ნინო მენტეშვილი

ფინანსური დირექტორი



მარიამ ჯაშვილი

შპს „საინფორმაციო კომუნიკაციების სისტემები“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარი)

	შენიშვნა	2024	2023*
ამონაგები	6	13,257,438	12,534,658
სხვა შემოსავალი		90,112	47,984
თანამშრომელთა სარგებელი		(6,609,153)	(5,598,286)
ტრანსპორტირების ხარჯი	7	(4,105,156)	(3,646,753)
მოთხოვნების გაუფასურების ცვლილება		20,824	(72,929)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი		(227,539)	(259,918)
საიჯარო ხარჯი	8	(193,458)	(226,127)
სხვა ხარჯები	9	(978,494)	(1,025,016)
საოპერაციო მოგება		1,254,574	1,753,613
ფინანსური ხარჯი	10	(372,960)	(136,527)
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი), წმინდა		(46,306)	22,840
მოგება დაბეგრამდე		835,308	1,639,926
მოგების გადასახადის ხარჯი		-	(12,074)
წლის წმინდა მოგება		835,308	1,627,852

(*) გადაანგარიშებული. დეტალებისთვის იხილეთ მე-5 შენიშვნა.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 20 ნოემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი	_____	ნინო მენტეშაშვილი
ფინანსური დირექტორი	_____	მარიამ ჯაოშვილი

შპს „საინფორმაციო კომუნიკაციების სისტემები“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023*
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	11	15,024,947	7,787,950
არამატერიალური აქტივები	12	155,079	172,041
გრძელვადიან აქტივებში გადახდილი ავანსები		478,639	255,614
სხვა აქტივები	17	982,380	160,019
		16,641,045	8,375,624
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგი		58,141	89,858
საგადასახადო აქტივი		334,923	149,502
გაცემული სესხები	13	-	1,774,243
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14	1,355,769	1,183,835
ფული და ფულის ეკვივალენტები	15	1,791,953	2,599,250
		3,540,786	5,796,688
სულ აქტივები		20,181,831	14,172,312
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		3,724,900	3,723,820
გაუნაწილებელი მოგება		2,571,280	3,762,215
სულ კაპიტალი		6,296,180	7,486,035
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	17	10,174,650	4,950,177
		10,174,650	4,950,177
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	2,658,451	1,529,967
მიღებული სესხები	17	1,052,550	206,133
		3,711,001	1,736,100
სულ ვალდებულებები		13,885,651	6,686,277
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		20,181,831	14,172,312

(*) გადაანგარიშებული. დეტალებისთვის იხილეთ მე-5 შენიშვნა.

შპს „საინფორმაციო კომუნიკაციების სისტემები“

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება	სულ
31 დეკემბერი 2022	1,067,676	2,902,152	3,969,828
საწესდებო კაპიტალის ზრდა	2,656,144	-	2,656,144
წლის წმინდა მოგება	-	1,627,852	1,627,852
გამოცხადებული დივიდენდი	-	(767,789)	(767,789)
31 დეკემბერი 2023*	3,723,820	3,762,215	7,486,035
საწესდებო კაპიტალის ზრდა	1,080	-	1,080
წლის წმინდა მოგება	-	835,308	835,308
გამოცხადებული დივიდენდი	-	(2,026,243)	(2,026,243)
31 დეკემბერი 2024	3,724,900	2,571,280	6,296,180

(*) გადანაგარიშებული. დეტალებისთვის იხილეთ მე-5 შენიშვნა.

შპს „საინფორმაციო კომუნიკაციების სისტემები“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	14,294,281	14,133,911
სადაზღვევო კომპანიის მიერ ანაზღაურებული სადაზღვევო ზარალები	80,169	47,191
გადახდილი ხელფასები	(4,813,491)	(4,102,091)
გადახდილი გადასახადები	(2,362,422)	(1,879,847)
საერთაშორისო გზავნილებზე ფედერაციისთვის გადახდილი თანხები	(1,700,846)	(2,490,827)
საწვავი	(1,317,420)	(1,208,677)
იჯარა	(220,000)	(220,000)
გადახდილი დაგროვებადი პენსია	(159,500)	(154,000)
სხვა გადახდები	(2,656,710)	(2,801,744)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	1,144,061	1,323,916
გადახდილი დივიდენდი	(252,000)	(767,789)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	892,061	556,127
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(6,117,311)	(3,803,864)
არამატერიალური აქტივების შეძენა	-	(150,172)
სესხის გაცემა	-	(1,774,243)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(6,117,311)	(5,728,279)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხების დაფარვა	5,697,930	5,073,380
გაყიწული ფული	(822,361)	(160,019)
სესხის პროცენტის დაფარვა	(425,768)	(233,959)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	1,080	2,656,144
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	4,450,881	7,335,546
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)	(774,369)	2,163,394
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	2,599,250	420,700
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(32,928)	15,156
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	1,791,953	2,599,250

შპს „საინფორმაციო კომუნიკაციების სისტემები“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „საინფორმაციო კომუნიკაციების სისტემები“ (შემდგომში „კომპანია“) რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად (დაარსების თარიღი: 22 ივლისი, 1996). კომპანია უზრუნველყოფს მცირე პაკეტებისა და ტვირთების ტრანსპორტირების მომსახურებას მთელ საქართველოში და მსოფლიოს მასშტაბით. კომპანიის სარეგისტრაციო ნომერია 204885810.

2018 წელს კომპანიამ FedEx Express Belgium International BVBA-სთან („FedEx“) ხელი მოაწერა „გლობალური მომსახურების მონაწილის ხელშეკრულებას“. ხელშეკრულების თანახმად, კომპანიამ საქართველოში უნდა უზრუნველყოს ადგილზე მიტანის, ასევე განბაჟების მომსახურება. მეორეს მხრივ, FedEx-მა საქართველოს ფარგლებს გარეთ უნდა უზრუნველყოს საერთაშორისო მიწოდების და განბაჟების მომსახურება. მხარეები თავიანთ მოვალეობებს ასრულებენ ექსკლუზიურად. 2021 წელს FedEx-მა და კომპანიამ ხელი მოაწერეს ცვლილებას და ხელშეკრულება სრული ვადით გაახანგრძლივეს.

კომპანიის ოფისის მისამართია საქართველო, თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #25.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის კაპიტალს ფლობენ შემდეგი პირები:

	31.12.2024	31.12.2023
შპს „მზე“	75%	75%
ნინო მენთეშაშვილი	10%	10%
მარიამ ჯაოშვილი	10%	10%
ნანა დათაშვილი	5%	5%
	100%	100%

კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი ფიზიკური პირია ბატონი ივანე გაგუა, რომელიც ფლობს შპს „მზეს“ 100%-ს.

2. მომზადების საფუძველი

მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისთვის შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს-ები) მიხედვით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად, კომპანიის ხელმძღვანელობისაგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

თანხები მრგვალდება უახლოეს ლარამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ლარში.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდია კალენდარული წელი 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

ფუნქციონირებადი საწარმო

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია ვერ აკმაყოფილებდა DFC-სგან მიღებულ სესხთან დაკავშირებით ზოგიერთ ფინანსურ და არაფინანსურ შეზღუდვას (დეტალებისთვის იხილეთ მე-15 შენიშვნა) და მსესხებელს ჰქონდა უფლება უპირობოდ და შეუქცევადად სრულად გამოეხმო ვალდებულება, ღირებულებით 11,227,200 ლარი.

ზემოთ აღწერილი მნიშვნელოვანი გარემოებების მიუხედავად, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობას და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ მისი საქმიანობა საქართველოში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

ფინანსური ანგარიშგების ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის შესაბამისად გამოყენებისას, ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის ბიზნეს საქმიანობა, მიზნები და სტრატეგია, ძირითადი რისკები და გაურკვევლობები მისი მიზნების მიღწევასა და შესრულებასთან დაკავშირებით.

კომპანიის ხელმძღვანელობას აქვს გონივრული მოლოდინი, რომ კომპანიას, მთლიანობაში, ექნება საკმარისი რესურსები ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნებიდან და დამტკიცების დღიდან 12 თვის განმავლობაში საოპერაციო საქმიანობის გასაგრძელებლად.

ხელმძღვანელობის მოლოდინი საწარმოს ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებით ემყარება შემდეგ ფაქტორებს:

- თუ საწარმოს უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე დაემუქრა და კომპანიის მიმდინარე საქმიანობის უზრუნველსაყოფად, საჭირო გახდა დამატებითი სახსრების მოზილზება, დამფუძნებელი გამოთქვამს მზადყოფნას, გამოიყენოს ახალი ინფრასტრუქტურა (ლოგისტიკური ცენტრი) უზრუნველყოფის სახით და აიღოს უზრუნველყოფილი სესხი რომელიმე ქართული ბანკისგან. დეტალური ინფორმაცია მოცემულია მე-18 შენიშვნაში;
- მიუხედავად იმისა, რომ კომპანია არღვევდა ხელშეკრულების ზოგიერთ ფინანსურ და არაფინანსურ შეზღუდვებს, მსესხებელმა არ გამოიყენა სესხის უპირობოდ და შეუქცევადად გამოხმობის უფლება.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან.

შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები მოხდა.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

კომპანია გადახდავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ფინანსური აქტივები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება (მაგალითად, დებიტორის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულე, გადფოლტება ან ვადაგადაცილება) იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ მოვლენამ/მოვლენებმა გავლენა მოახდინა ინვესტიციიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე და კომპანია ვერ შეძლებს დებიტორული დავალიანების სრულად მიღებას. დეტალები სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების შესახებ იხილეთ მე-14 შენიშვნაში. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში.

შპს „საინფორმაციო კომუნიკაციების სისტემები“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოიყენება მოცემული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. ეს პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოიყენება ყველა წარმოდგენილი პერიოდისთვის, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიის საოპერაციო ვალუტას წარმოადგენს ლარი. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2024 წლის 31 დეკემბერს	2.8068	2.9306
გაცვლითი კურსი 2023 წლის 31 დეკემბერს	2.6894	2.9753

ფინანსური ინსტრუმენტები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით. კომპანია გაყიდვებს ახორციელებს ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე და მისაღები მოთხოვნები არ შეიცავს პროცენტს. ეს ფინანსური აქტივები ხასიათდება ფიქსირებული ან განსაზღვრებადი გადასახადებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. ისინი, ძირითადად, მომხმარებლებისთვის მომსახურების გაწევის შედეგად წარმოიქმნება. აქტივების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვით. ისინი აღირიცხება მიმდინარე აქტივებში, გარდა იმ შემთხვევისა თუ გადახდა გადავადებულია საანგარიშო თარიღის შემდეგ 12 თვეზე მეტი ვადით.

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება (მაგალითად, დებიტორის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულე, გადგომის შეუძლებლობა ან ვადაგადაცილება) იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ მოვლენამ/მოვლენებმა გავლენა მოახდინა ინვესტიციიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე და კომპანია ვერ შეძლებს დებიტორული დავალიანების სრულად მიღებას.

კომპანია საკრედიტო რისკების შეფასებას ახორციელებს ჯგუფურ და ინდივიდუალურ საფუძველზე. გაუფასურების რეზერვი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. იმისათვის, რათა განისაზღვროს გაუფასურების ზარალი ჯგუფურად, მოთხოვნები ჯგუფდება მსგავსი საკრედიტო რისკისა და ხანდაზმულობის მიხედვით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს აქვს მსგავსი რისკიანობის მახასიათებელი.

გაუფასურების რეზერვის თანხა არის სხვაობა გაუფასურებულ მოთხოვნებთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე და საბალანსო ღირებულებებს შორის. მოთხოვნების კატეგორიისთვის, რომლებიც წმინდა ღირებულებით არის წარმოდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში ასეთი რეზერვები აისახება ცალკე მუხლად, ხოლო შესაბამისი ზარალი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნების ამოღება შეუძლებელია, აქტივის მთლიანი ღირებულება მცირდება შესაბამისი რეზერვით.

ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით (გარიგების ხარჯების ჩათვლით). სავაჭრო გადასახდელები წარმოადგენს ვალდებულებებს ნორმალური საკრედიტო პირობებით და არ შეიცავს პროცენტს. პროცენტის მატარებელი ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება ხორციელდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების გადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ერთმანეთში გადაიხურება და ფინანსურ ანგარიშგებაში წარდება ნეტო თანხით, მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს შესაბამისი იურიდიული უფლება და სურვილი აღნიშნული თანხების ურთიერთჩათვლისთვის.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებს და ბანკებში განთავსებულ თანხებს, რომელთა თავდაპირველი ვადა 3 თვეზე ნაკლებია.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; აღიარების შეწყვეტისას, განსხვავება აქტივის საბალანსო ღირებულებას და მიღებული და მისაღები ანაზღაურების თანხას შორის აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში ან სხვა სრულ შემოსავალში.

კომპანია წყვეტს ფინანსურ ვალდებულებების აღიარებას, მხოლოდ მაშინ ხდება კომპანიის ვალდებულებების შესრულება, გაუქმება ან მათი მოქმედების ვადის გასვლა. სხვაობა აღიარებული ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და გადახდილ და გადასახდელ ანაზღაურებას შორის აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში ან სხვა სრულ შემოსავლებში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთას და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის შემდეგი მომსახურების ვადების მიხედვით:

	სასარგებლო მომსახურების ვადები
შენობები	40
ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	3-7
სატრანსპორტო საშუალებები	10
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	იჯარის ვადის მანძილზე

მიწა და დაუმთავრებელი მშენებლობა არ იცვითება.

შეკეთებასა და განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები აღიარდება საოპერაციო ხარჯებში მათი გაწევისთანავე, თუ ისინი არ შეესაბამება კაპიტალიზებად დანახარჯებს.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რათა შეფასდეს, ხომ არ გადააჭარბა მათ ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულება არის სამართლიანი ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. იმ შემთხვევაში, თუ საბალანსო ღირებულება აღემატება შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივები ჩამოიწერება მათი ანაზღაურებადი ღირებულების ოდენობამდე. გაუფასურება აღირიცხება შესაბამის პერიოდში და შედის საოპერაციო ხარჯებში. გაუფასურების ზარალის აღიარების შემდეგ, ძირითადი საშუალებების ამორტიზაციის ხარჯი კორექტირდება მომავალ პერიოდებში, რათა სისტემატურად განაწილდეს აქტივის გადახდილი საბალანსო ღირებულება, გამოკლებული მისი ნარჩენი ღირებულება (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მისი დარჩენილი სასარგებლო ვადის განმავლობაში.

დაბეგვრა

საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, მოგების გადასახადი გადავადებულია მოგების განაწილებამდე. მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ია. მოგების გადასახადი გადაიხდება ფიზიკური და არარეზიდენტებისთვის (როგორც ფიზიკური, ასევე ორგანიზაციებისთვის) გადახდილი დივიდენდებისთვის.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. დივიდენდის გამოცხადების გარდა, სხვა მავალდებულებელი მოვლენა, რომელიც წარმოქმნის მოგების გადასახადს აღიარდება საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების მუხლში. კომპანიის მიმდინარე საგადასახადო დავალიანება იანგარიშება საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით, რომლებიც ძალაშია ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის.

საქართველოს საგადასახადო სისტემაში შესული ცვლილებების სპეციფიკურობის გათვალისწინებით, 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების წარმოქმნა.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლისგანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება ვალდებულების სახით და აკლდება საკუთარ კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცებამდე გამოცხადებული ნებისმიერი დივიდენდი აისახება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ამონაგები

ამონაგების ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით. შემოსავალი მცირდება მომხმარებლის მიერ სავარაუდო შემოსავლების, ფასდაკლებების და სხვა მსგავსი შედეგების გათვალისწინებით. მომსახურების გაწევის ხელშეკრულებიდან მიღებული შემოსავალი აღირიცხება, როდესაც დაკმაყოფილებულია ყველა შემდეგი პირობა:

- შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ გაზომვა;
- სავარაუდოა, რომ კომპანია მიიღებს ტრანზაქციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს;
- საიმედოდ არის შესაძლებელი ტრანზაქციის დასრულების ეტაპის შეფასება; და
- საიმედოდ არის შესაძლებელი ტრანზაქციისთვის გაწეული ხარჯებისა და ტრანზაქციის დასრულების ხარჯების გაზომვა.

საოპერაციო იჯარა

კომპანია ქირაობს საოფისე და სასაწყობო ფართს საოპერაციო საქმიანობისთვის და ეს იჯარა კლასიფიცირდება, როგორც საოპერაციო იჯარა. საოპერაციო იჯარის გადახდები აღირიცხება ხარჯად, წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვა სისტემატური მეთოდი უფრო მეტად წარმოადგენს დროის მანძილზე იჯარით აღებული აქტივიდან ეკონომიკურ სარგებელს.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და არამონეტარული სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი მომსახურება მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ხარჯები დაუყოვნებლივ აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ ისინი აღარ იწვევს მომავალში ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების მოთხოვნებს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში მოსალოდნელია აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. კომპანიაში ანარიცხი აღიარდება, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენის შედეგად და სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა; და შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება. ანარიცხის შექმნის საფუძველი შეიძლება იყოს იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება.

5. წინა პერიოდის კორექტირებები და რეკლასიფიკაციები

კომპანიის ხელმძღვანელობამ 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაში გააკეთა ნებაყოფლობითი კორექტირებები და რეკლასიფიკაციები. ხელმძღვანელობის მოსაზრებით ახალი წარდგენა უფრო სამართლიანად ასახავს კომპანიის წლის შედეგს და ფინანსურ მდგომარეობას.

შპს „საინფორმაციო კომუნიკაციების სისტემები“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

5. წინა პერიოდის კორექტირებები და რეკლასიფიკაციები (გაგრძელება)

წინა პერიოდის კორექტირებებისა და რეკლასიფიკაციების გავლენა სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	კორექტირება	2023 გადაანგარიშებული
ამონაგები	12,534,658	-	12,534,658
სხვა შემოსავალი	47,984	-	47,984
თანამშრომელთა სარგებელი	(5,598,286)	-	(5,598,286)
ტრანსპორტირების ხარჯი	(3,646,753)	-	(3,646,753)
მოთხოვნების გაუფასურების ცვლილება	(72,929)	-	(72,929)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	(259,918)	-	(259,918)
საიჯარო ხარჯი	(226,127)	-	(226,127)
სხვა ხარჯები	(1,025,016)	-	(1,025,016)
საოპერაციო მოგება	1,753,613	-	1,753,613
ფინანსური ხარჯი	(316,889)	180,362	(136,527)
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება	22,840	-	22,840
მოგება დაბეგვრამდე	1,459,564	180,362	1,639,926
მოგების გადასახადის ხარჯი	(12,074)	-	(12,074)
წლის წმინდა მოგება	1,447,490	180,362	1,627,852

შპს „საინფორმაციო კომუნიკაციების სისტემები“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

5. წინა პერიოდის კორექტირებები და რეკლასიფიკაციები (გაგრძელება)

წინა პერიოდის კორექტირებებისა და რეკლასიფიკაციების გავლენა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2023	კორექტირება	31.12.2023 გადაანგარიშებული
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7,607,588	180,362	7,787,950
არამატერიალური აქტივები	172,041	-	172,041
გრძელვადიან აქტივებში გადახდილი ავანსები	255,614	-	255,614
სხვა აქტივები	-	160,019	160,019
	8,035,243	340,381	8,375,624
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგი	89,858	-	89,858
საგადასახადო აქტივი	149,502	-	149,502
გაცემული სესხები	1,774,243	-	1,774,243
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,183,835	-	1,183,835
ფული და ფულის ეკვივალენტები	2,759,269	(160,019)	2,599,250
	5,956,707	(160,019)	5,796,688
სულ აქტივები	13,991,950	180,362	14,172,312
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	3,723,820	-	3,723,820
გაუნაწილებელი მოგება	3,581,853	180,362	3,762,215
სულ კაპიტალი	7,305,673	180,362	7,486,035
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	4,950,177	-	4,950,177
	4,950,177	-	4,950,177
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,529,967	-	1,529,967
მიღებული სესხები	206,133	-	206,133
	1,736,100	-	1,736,100
	6,686,277	-	6,686,277
სულ ვალდებულებები	13,991,950	180,362	14,172,312

6. ამონაგები

	2024	2023
ადგილობრივი გადაზიდვები	6,787,307	6,306,087
საერთაშორისო გადაზიდვები	6,470,131	6,228,571
	13,257,438	12,534,658

შპს „საინფორმაციო კომუნიკაციების სისტემები“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

7. ტრანსპორტირების ხარჯი

	2024	2023
შემენილი ტრანსპორტირების ხარჯი	(2,224,225)	(2,043,761)
საწვავი	(1,119,641)	(996,875)
კომერციული საწყობის მომსახურება თბილისის საერთაშორისო აეროპორტში	(455,457)	(299,324)
მანქანის საექსპლუატაციო ხარჯები	(219,904)	(242,310)
სხვა	(85,929)	(64,483)
	(4,105,156)	(3,646,753)

8. იჯარის ხარჯი

	2024	2023
ოფისის ხარჯი	(139,831)	(165,254)
საწყობის ხარჯი	(53,627)	(60,873)
	(193,458)	(226,127)

კომპანიას შპს „მზესთან“ გაფორმებული აქვს ორი საოპერაციო იჯარის ხელშეკრულება. კომპანიას უფლება აქვს, იჯარის საგანში შეიტანოს გაუმჯობესება. იჯარის შეწყვეტის შემდეგ, ის გაუმჯობესება, რომლის მოხსნაც შეუძლებელია იჯარის საგანისთვის ზიანის მიყენების გარეშე, რჩება მეიჯარეს. სხვა გაუმჯობესება მოიჯარის საკუთრებაა. იჯარით აღებული ქონების გაყიდვის შემთხვევაში, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მეიჯარის უფლებები და ვალდებულებები გადადის ახალ მესაკუთრეზე. საიჯარო ხელშეკრულება არის ერთწლიანი და განახლდება ყოველ წელს.

9. სხვა ხარჯები

	2024	2023
ამანათის შესაფუთი საშუალებები	(265,740)	(309,129)
კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯი	(160,792)	(166,353)
დაზღვევა	(117,795)	(230,791)
გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა	(105,470)	(47,190)
პროფესიული მომსახურება	(85,865)	(6,414)
სამეურნეო ხარჯი	(78,857)	(98,117)
მივლინების და წარმომადგენლობითი ხარჯი	(47,357)	(56,400)
სხვა	(116,618)	(110,622)
	(978,494)	(1,025,016)

10. ფინანსური ხარჯი

	2024	2023
მიღებულ სესხზე დარიცხული პროცენტი	(379,318)	(287,806)
მიღებული სესხების გადაფასების ეფექტი	(419,410)	(29,083)
კაპიტალიზებული ფინანსური ხარჯი	425,768	180,362
	(372,960)	(136,527)

შპს „საინფორმაციო კომუნიკაციების სისტემები“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

11. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა ნაგებობები	დაუმთავრებელი მშენებლობა*	აღჭურვილობა და ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული შენობის კეთილმოწყობა	სხვა	სულ
2022 წლის 31 დეკემბერი	1,061,676	424,377	1,700,164	735,246	1,468,286	67,796	-	5,457,545
შემოსვლა	-	-	3,895,857	17,506	333,081	-	-	4,246,444
გასვლა	-	-	-	-	(222,144)	-	-	(222,144)
2023 წლის 31 დეკემბერი	1,061,676	424,377	5,596,021	752,752	1,579,223	67,796	-	9,481,845
შემოსვლა	-	-	7,122,482	21,104	275,907	-	61,863	7,481,356
გასვლა	-	-	-	-	(152,104)	-	-	(152,104)
2024 წლის 31 დეკემბერი	1,061,676	424,377	12,718,503	773,856	1,703,026	67,796	61,863	16,811,097
დაგროვილი ცვეთა								
2022 წლის 31 დეკემბერი	-	(95,008)	-	(498,946)	(985,727)	(28,229)	-	(1,607,910)
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	-	(13,776)	-	(74,490)	(161,984)	(9,668)	-	(259,918)
გასული ძირითადი საშუალების ცვეთა	-	-	-	-	173,933	-	-	173,933
2023 წლის 31 დეკემბერი	-	(108,784)	-	(573,436)	(973,778)	(37,897)	-	(1,693,895)
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	-	(12,650)	-	(57,894)	(130,010)	(9,696)	(326)	(210,576)
გასული ძირითადი საშუალების ცვეთა	-	-	-	-	118,321	-	-	118,321
2024 წლის 31 დეკემბერი	-	(121,434)	-	(631,330)	(985,467)	(47,593)	(326)	(1,786,150)
წმინდა საბალანსო ღირებულება								
2023 წლის 31 დეკემბერი	1,061,676	315,593	5,596,021	179,316	605,445	29,899	-	7,787,950
2024 წლის 31 დეკემბერი	1,061,676	302,943	12,718,503	142,526	717,559	20,203	61,537	15,024,947

(*) თბილისის ლოჯისტიკური ცენტრის მშენებლობის პროცესში მყოფი აქტივების წმინდა საბალანსო ღირებულება. მშენებლობის ღირებულება ამორტიზდება მას შემდეგ, რაც ქონება დასრულდება და გამოსაყენებლად მზად იქნება. კომპანიამ მშენებლობის ნებართვა 2021 წელს მიიღო. თანხები დაიხარჯა ნებართვის მისაღებად მოსამზადებელ სამუშაოებზე და თავად მშენებლობის პროცესისთვის.

შპს „საინფორმაციო კომუნიკაციების სისტემები“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

12. არამატერიალური აქტივები

ისტორიული ღირებულება	ტრანსპორტირების მართვისა და მონიტორინგის სისტემა	სხვა	სულ
31 დეკემბერი 2022	-	45,052	45,052
შემოსვლა	169,620	-	169,620
31 დეკემბერი 2023	169,620	45,052	214,672
31 დეკემბერი 2024	169,620	45,052	214,672
დაგროვილი ამორტიზაცია			
31 დეკემბერი 2022	-	(42,631)	(42,631)
31 დეკემბერი 2023	-	(42,631)	(42,631)
ამორტიზაციის ხარჯი	(16,962)	-	(16,962)
31 დეკემბერი 2024	(16,962)	(42,631)	(59,593)
წმინდა საბალანსო ღირებულება			
31 დეკემბერი 2023	169,620	2,421	172,041
31 დეკემბერი 2024	152,658	2,421	155,079

13. გაცემული სესხები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიამ შპს მზეზე გასცა სესხი 1,774,243 ლარის ოდენობით. აღნიშნული წარმოადგენს მოთხოვნამდე უპროცენტო სესხს. 2024 წლის პერიოდში პარტნიორთა კრების ოქმის საფუძველზე აღნიშნული გაცემული სესხი გადაიხურა გამოცხადებულ დივიდენდზე. შესაბამისად 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია გაცემული სესხები.

14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2024	31.12.2023
ფინანსური მოთხოვნები		
სავაჭრო მოთხოვნები	1,647,545	1,837,837
სხვა მოთხოვნები	-	127
მინუს: გაუფასურების რეზერვი	(303,057)	(680,682)
	1,344,488	1,157,282
არაფინანსური მოთხოვნები		
გადახდილი ავანსები	11,281	26,553
	11,281	26,553
	1,355,769	1,183,835

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას.

შპს „საინფორმაციო კომუნიკაციების სისტემები“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

სავაჭრო მოთხოვნების საკრედიტო ხარისხის ანალიზი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023
სავაჭრო მოთხოვნები, გროსი		
ვადადამდგარი და გაუფასურების გარეშე	880,479	93,717
ვადადამდგარი და გაუფასურების გარეშე*	57,804	-
გაუფასურებაზე ინდივიდუალურად შეფასებული	308,374	245,088
გაუფასურებაზე ჯგუფურად შეფასებული	400,888	1,499,159
	1,647,545	1,837,964
 მინუს: გაუფასურების რეზერვი	 (303,057)	 (680,682)
სავაჭრო მოთხოვნები, წმინდა	1,344,488	1,157,282

(*) ამ კატეგორიაში კომპანიამ განიხილა FedEx-ის მიმართ დებიტორულ დავალიანება, რადგან გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება არ არსებობდა და გაუფასურების რეზერვი არ შექმნა.

კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკის მიხედვით საკრედიტო რისკის მართვის მიზნებისთვის ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ხდება შემდეგი კატეგორიების მიხედვით:

- ვადადამდგარი და გაუფასურების გარეშე;
- ვადადამდგარი და გაუფასურების გარეშე;
- გაუფასურებაზე ინდივიდუალურად შეფასებული; და
- გაუფასურებაზე ჯგუფურად შეფასებული.

პირველი კატეგორია მოიცავს აქტივებს, რომელიც არ არის ვადაგადაცილებული და არ ექვემდებარება გაუფასურებას.

მეორე კატეგორია მოიცავს ისეთ დებიტორულ დავალიანებებს, რომლებიც ვადადამდგარია, მაგრამ გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება არ არსებობს და გაუფასურების რეზერვი არ არის შექმნილი.

მესამე კატეგორია მოიცავს აქტივებს, რომელთა გაუფასურებაზე შემოწმება ხორციელდება ინდივიდუალურ საფუძველზე. ამ შემთხვევაში კომპანია არ ქმნის გაუფასურებას ანარიცხს.

მეოთხე კატეგორიაში ერთიანდება აქტივები, რომელთა დაკავშირებითაც არსებობს გაუფასურების მტკიცებულება და კომპანია ქმნის ჯგუფურ რეზერვს.

კომპანია საკრედიტო რისკების ჯგუფურ და ინდივიდუალურ შეფასებას ახორციელებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

გაუფასურების ანარიცხის რეკონსილაცია წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
1 იანვარი	(680,682)	(607,753)
ჩამოწერა	356,801	-
ცვლილება გაუფასურების ანარიცხში	20,824	(72,929)
31 დეკემბერი	(303,057)	(680,682)

შპს „საინფორმაციო კომუნიკაციების სისტემები“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

15. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31.12.2024	31.12.2023
ფული საბანკო ანგარიშზე		
უცხოური ვალუტა	1,746,228	1,772,458
ეროვნული ვალუტა	43,303	821,483
ნაღდი ფული		
ეროვნული ვალუტა	2,422	5,309
	1,791,953	2,599,250

16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2024	31.12.2023
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები*	1,410,792	1,128,734
გრძელვადიანი აქტივების შეძენიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	862,070	92,089
სახელფასო ვალდებულებები	328,379	259,824
	2,601,241	1,480,647
არაფინანსური ვალდებულებები		
მიღებული ავანსები	57,210	49,320
	57,210	49,320
	2,658,451	1,529,967

(*) FedEx-ის მიმართ არსებული ვალდებულება წარმოადგენს 1,308,033 და 930,136 ლარს, შესაბამისად.

17. მიღებული სესხები

კომპანიამ აშშ-ის საერთაშორისო განვითარების საფინანსო კორპორაციასთან (DFC) გააფორმა გრძელვადიანი დაფინანსების ხელშეკრულება, რომლის მაქსიმალური ძირითადი თანხა 4,000,000 აშშ დოლარია. ნასესხები სახსრების მიზანია თბილისში ლოჯისტიკური ცენტრის მშენებლობა. კომპანიამ აითვისა სრული თანხა, 11,227,200 ლარის (4,000,000 აშშ დოლარი) ოდენობით. სესხი უზრუნველყოფილია არსებული და მომავალი მოძრავი და არამატერიალური ქონებით, ასევე კომპანიის აქციონერთა წილებით. სესხის დაფარვის ვადაა 2033 წლის 15 იანვარი, ხოლო წლიური საპროცენტო განაკვეთი - 4.25%.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სესხის მთლიანი ოდენობა შეადგენს 11,227,200 და 5,156,310 ლარს, შესაბამისად. 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სესხის მოკლევადიანი წილი შეადგენს 1,052,550 და 206,133 ლარს, შესაბამისად. 2024 და 2023 წლებისთვის დარიცხული პროცენტის ხარჯი შეადგენს 379,318 და 287,806 ლარს, შესაბამისად.

მიღებული სესხების რეკონსილაცია წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
1 იანვარი	5,156,310	-
ფულადი მოძრაობა	5,272,162	4,839,421
არაფულადი მოძრაობა:		
დარიცხული საპროცენტო ხარჯი	379,318	287,806
გადაფასების ეფექტი	419,410	29,083
31 დეკემბერი	11,227,200	5,156,310

შპს „საინფორმაციო კომუნიკაციების სისტემები“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბრის

(ლარში)

17. მიღებული სესხები (გაგრძელება)

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სხვა აქტივები წარმოადგენს შეზღუდულ ფულს 982,380 ლარის და 160,019 ლარის ოდენობით, შესაბამისად. ეს თანხა დაგირავებულია DFC-დან მიღებული სესხის სასარგებლოდ.

DFC-სთან დადებული ხელშეკრულება მოიცავს რამდენიმე ფინანსურ და არაფინანსურ შეზღუდვას. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია ვერ აკმაყოფილებდა ზოგიერთ ფინანსურ და არაფინანსურ შეზღუდვას, რის გამოც მსესხებელს ჰქონდა უფლება უპირობოდ და შეუქცევადად გამოეხმო ვალდებულება, რომლის ოდენობა 11,227,200 ლარს შეადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ კომპანია ვერ აკმაყოფილებდა აღნიშნულ პირობებს, DFC-მ არ გამოიყენა სახელშეკრულებო უფლებები და არ გამოითხოვა ვალდებულება. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 20.

18. დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მფლობელებს, საერთო მფლობელობაში არსებულ კომპანიებს, ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებს და უმაღლესი ხელმძღვანელობის პირებს. როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

დაკავშირებულ მხარეებთან მოძრაობები და ნაშთები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სრული შემოსავლის ანგარიშგება	დაკავშირებული მხარე	2024	2023
საიჯარო ხარჯი	მფლობელი	(186,441)	(220,339)
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	Related party	31.12.2024	31.12.2023
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	მფლობელი	(33,750)	(8,750)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნა	მფლობელი	-	6,613
გაცემული სესხები	მფლობელი	-	1,774,243
		2024	2023
უმაღლესი ხელმძღვანელობის გასამრჯელო		(633,938)	(477,792)

19. პირობითი აქტივები და ვალდებულებები

სასამართლო დავები - შპს „ინფორმაციული საკომუნიკაციო სისტემები“-მ ადმინისტრაციული სარჩელი 2019 წლის 2 ივლისს შეიტანა თბილისის საქალაქო სასამართლოში. სარჩელის მიზანია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურისა და დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილების გაუქმება კომპანიის მიერ შემოღებული ტვირთების დღგ-ს დაბეგვრის შესახებ. კომპანიის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მან უკვე გადაიხადა ყველა გადასახადი. თუმცა, FedEx-თან ხელმოწერილი ხელშეკრულების შესაბამისად, თუ კომპანიის მომსახურება ექვემდებარება დღგ-ს, დღგ გამოქვითული იქნება FedEx-ისთვის გადასახდელი მომსახურების ღირებულებიდან. შესაბამისად, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არსებითი დაურიცხავი ზარალი არ წარმოიქმნება და შესაბამისად, ამ ფინანსურ ანგარიშგებაში არანაირი რეზერვის ვალდებულება არ არის გათვალისწინებული.

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

მმართველობის ანგარიშგება - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის მიხედვით (პუნქტი 7) კომპანიას აქვს ვალდებულება მოამზადოს და სახელმწიფო მარეგულირებელ ორგანოში წარადგინოს მმართველობის ანგარიშგება, დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად, არაუგვიანეს საანგარიშგებო პერიოდის მომდევნო წლის 1 ოქტომბრისა. ამ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნების თარიღისთვის კომპანიას არ აქვს შესრულებული აღნიშნული ვალდებულება.

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი ჰქონდა შემდეგ მნიშვნელოვან არამაკორექტირებელ მოვლენებს, რომლებიც გაშიფრულია აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაში:

- კომპანიის დამფუძნებელმა გამოთქვა მზადყოფნა, რომ თუ კომპანიის ფუნქციონირებას საფრთხე შეექმნება და საჭიროების შემთხვევაში კომპანიის მიმდინარე საქმიანობის უზრუნველყოფად მობილიზდება დამატებითი სახსრები. დამფუძნებელმა გამოთქვა მზადყოფნა, გამოიყენოს ახალი ინფრასტრუქტურა (ლოგისტიკური ცენტრი) უზრუნველყოფის სახით და აიღოს უზრუნველყოფილი სესხი რომელიმე ქართული ბანკისგან;
- 2024 წელს კომპანიამ მიიღო პატიების წერილი გარკვეულ შეზღუდვებზე, რომელსაც იგი არღვევდა;
- კომპანიამ დაფარა სასესხო ვალდებულება 928,733 ლარის ოდენობით;
- კომპანიამ გამოაცხადა და სრულად გადაიხადა დივიდენდი 362,292 ლარის ოდენობით.

შპს საინფორმაციო კომუნიკაციების სისტემები

მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

მმართველობის ანგარიშგება

ზოგადი ინფორმაცია	4
კომპანიის ფილიალები	4
კომპანიის სტრუქტურა	5
კომპანიის მიმდინარე პროექტები და სამომავლო გეგმები:	5
ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები	6
არაფინანსური მაჩვენებლები.....	8
ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ.....	8
დამატებითი განმარტებები ფინანსურანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ.....	8
ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	8

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „საინფორმაციო კომუნიკაციების სისტემების“ ხელმძღვანელებს და დამფუძნებელს,

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე**მოსაზრება**

ჩვენი გამოვთქვით მოდიფიცირებული მოსაზრება შპს „საინფორმაციო კომუნიკაციების სისტემების“ (შემდგომში კომპანია) 2024 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე 2025 წლის 20 ნოემბერს. სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია კომპანიის თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში მივიღეთ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის დასკვნის გაცემის თარიღის შემდეგ და მასზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით, ფინანსურ ანგარიშგებაში აუდიტორის დასკვნაში მოცემული პირობების შესაძლო ეფექტის გარდა გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2024 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია ამავე წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- 2024 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-735032)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

21 ნოემბერი 2025

შპს „საინფორმაციო კომუნიკაციების სისტემები“

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

ზოგადი ინფორმაცია და საქმიანობის მიმოხილვა

შპს „საინფორმაციო კომუნიკაციების სისტემები“-ს (შემდგომში „კომპანია“) საგადასახადო რეგისტრაციის თარიღია 1997 წელი. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია 204885810.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიაში წილს ფლობენ შემდეგი პირები:

	31.12.2024	31.12.2023
შპს „მზე“ (ს/კ 204971744)	75%	75%
ნინო მენთეშაშვილი (პ/ნ 01008009101)	10%	10%
მარიამ ჯაოშვილი (პ/ნ 01030022928)	10%	10%
ნანა დათაშვილი (პ/ნ 01019041801)	5%	5%
	100%	100%

შპს „საინფორმაციო კომუნიკაციების სისტემები“-ს იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ.თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №9 „ა“, ხოლო ფაქტიური - დ. აღმაშენებლის #25.

კომპანია წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოს, რომლის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს კურიერული მომსახურება საერთაშორისო და ადგილობრივი გადაზიდვებისთვის. 2018 წელს კომპანიამ FedEx Express Belgium International BVBA-სთან („FedEx“) ხელი მოაწერა „გლობალური მომსახურების მონაწილის ხელშეკრულებას“. ხელშეკრულების თანახმად, კომპანიამ საქართველოში უნდა უზრუნველყოს ადგილზე მიტანის, ასევე განაწილების მომსახურება. მეორეს მხრივ, FedEx-მა საქართველოს ფარგლებს გარეთ უნდა უზრუნველყოს საერთაშორისო მიწოდების და განაწილების მომსახურება. მხარეები თავიანთ მოვალეობებს ასრულებენ ექსკლუზიურად. 2021 წელს FedEx-მა და კომპანიამ ხელი მოაწერეს ცვლილებას და ხელშეკრულება სრული ვადით გაახანგრძლივეს.

კომპანიის საქმიანობას ასევე წარმოადგენს სასაწყობო მომსახურება, ეგრეთ წოდებული - 3pl სერვისი. აღნიშნული გულისხმობს კომპანიებისათვის ლოჯისტიკური მომსახურების, მიწოდების ჯაჭვის უზრუნველყოფას. ლოჯისტიკური სერვისების მიწოდების უზრუნველსაყოფად კომპანიამ აიღო სესხი შესამისი ინფრასტრუქტურის ასაშენებლად. იგი საკუთარ საქმიანობას აწარმოებს წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიას მართავს დირექტორი, ქალბატონი ნინო მენთეშაშვილი (პ/ნ 01008009101).

კომპანიის ფილიალები

კომპანიის მთავარი ოფისი მდებარეობს შემდეგ მისამართზე - ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი #25. 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას საქართველოს მასშტაბით გახსნილი აქვს შემდეგი ფილიალები:

1. ქ. ფოთი, 9 აპრილის ქ. #6;
2. ქ. ბათუმი, ზ. გორგილაძის ქ. #40;
3. ქ. თელავი, ი. ჭავჭავაძის ქ. #2;
4. ქ. ქუთაისი, ა. წერეთლის ქ. #2.

შპს „საინფორმაციო კომუნიკაციების სისტემები“

მმართველობის ანგარიშგება


საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

კომპანიის სტრუქტურა

კომპანიის მმართველობა შემდეგნაირად გამოიყურება: კომპანიას მართავს დირექტორი, რომელიც არის საერთო კრების მიერ არჩეული. კომპანიაში უფლებამოსილება გადანაწილებულია განყოფილებების მიხედვით, რომლებსაც მართავენ მენეჯერული რგოლები. კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა შეიძლება წარმოდგინდეს შემდეგნაირად:

Georgia Organigram



კომპანიის მიმდინარე პროექტები და სამომავლო გეგმები:

კომპანიას 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჰქონა ერთი მნიშვნელოვანი აქტიური პროექტი, კერძოდ - ახალი ლოჯისტიკური ცენტრის მშენებლობა. კომპანიამ აღნიშნული მშენებლობის ნებართვა მოიპოვა 2021 წლის პერიოდში. 2022 წელს კომპანიამ მოიძია აღნიშნული პროექტის დამფინანსებელი, კერძოდ - აშშ-ის საერთაშორისო განვითარების საფინანსო კორპორაციასთან (DFC) გააფორმა გრძელვადიანი დაფინანსების ხელშეკრულება, რომლის მაქსიმალური ძირითადი თანხა 4,000,000 აშშ დოლარია. ნასესხები სახსრების მიზანია თბილისში ლოჯისტიკური ცენტრის მშენებლობა. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიამ სრულად აითვისა დაკრედიტებული თანხა, 11,227,200 ლარის (4,000,000 აშშ დოლარი) ოდენობით. სესხი უზრუნველყოფილია არსებული და მომავალი მოძრავი და არამატერიალური ქონებით, ასევე კომპანიის აქციონერთა წილებით. სესხის დაფარვის ვადაა 2033 წლის 15 იანვარი, ხოლო წლიური საპროცენტო განაკვეთი - 4.25%.

კომპანიამ ზემოაღნიშნული სესხის დახმარებით 2023 წელს დაიწყო ამ პროექტის განხორციელება და ახალი ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის მშენებლობა. კომპანიის ხელმძღვანელობა ლოჯისტიკური ცენტრის ექსპლოატაციაში გაშვებას 2025 წლის საანგარიშგებო პერიოდში იმედოვნებს.

კომპანიის სამომავლო გეგმები ახალი ლოჯისტიკური ცენტრის მეშვეობით მოიცავს:

1. კლიენტების სიის გაფართოვებას;

შპს „საინფორმაციო კომუნიკაციების სისტემები“


მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

2. ახალი მიმართულების, ელექტრონული კომერციის გამართვას, განვითარებასა და სრულყოფას, რაც აუცილებლად მოიაზრებს სრულყოფილი მიწოდების ჯაჭვის შექმნას.

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები



ძირითადი ინდიკატორები:

1. საოპერაციო მოგების მარჟა - საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება/ამონაგები . ეს ინდიკატორი პროცენტულად გვიჩვენებს საოპერაციო საქმიანობიდან მიღებულ მოგებას
2. მოგება დაბეგვრამდე - მოგებას დაბეგვრამდე/ამონაგები . ეს ინდიკატორი პროცენტულად გვიჩვენებს შემოსავლი რა ნაწილი რჩება მოგებად მოგების გადასახადის გადახდამდე
3. წმინდა მოგების მარჟა - წმინდა მოგება/ამონაგები . ეს ინდიკატორი პროცენტულად გვიჩვენებს შემოსავლის რა წილი რჩება კომპანიას მოგება


2024 წელს აღინიშნება მაჩვენებლებში შემცირება. აღნიშნულის მიზეზი არის ის, რომ ამონაგები და შესაბამისი ხარჯები ერთნაირი ტემპით არ იცვლება, რასაც განაპირობებს ქვეყნის მიკრო და მაკრო ეკონომიკური არამდგრადობა.

შპს „საინფორმაციო კომუნიკაციების სისტემები“

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)




სამუშაო კაპიტალი = მიმდინარე აქტივები - მიმდინარე ვალდებულებები

ლიკვიდობის კოეფიციენტი = მიმდინარე აქტივები/მიმდინარე ვალდებულებები . ეს ინდიკატორი მიუთითებს თუ რამდენად მზად არის კომპანია არსებული მიმდინარე რესურსებით დაფაროს არსებული მიმდინარე ვალდებულებები.

სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი = (მიმდინარე აქტივები - მარაგები)/მიმდინარე ვალდებულებები . ეს კოეფიციენტიც არის ლიკვიდურობის მაჩვენებელი , რომელიც არ ითვალისწინებს მარაგებს , რადგან მარაგები მიმდინარე აქტივებში ყველაზე არალიკვიდური აქტივია.

2024 წელს შემცირებულია ლიკვიდობის კოეფიციენტის მაჩვენებლები, რისი მიზეზიც არის მოკლევადიანი მოთხოვნების შემცირება, ასევე მოკლევადიანი ვალდებულებების (მაგ. სესხები) გაზრდა.



მთლიანი ვალდებულების მთლიან კაპიტალთან შეფარდება არის კომპანიის ფინანსური რისკიანობის ინდიკატორი, რომელიც აჩვენებს რამდენად რისკიანი სტრუქტურა აქვს კომპანიის დაფინანსების წყაროს. როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, სამუშაო კაპიტალის ოდენობისა და მიმდინარე/სწრაფი კოეფიციენტების გათვალისწინებით კომპანიის ფინანსური მდგომარეობა არ ჩანს სტაბილური, მაგრამ აღნიშნული გამომდინარეობს იმ ფაქტით, რომ კომპანიამ ახალი ლოჯისტიკური ცენტრის ასაშენებლად და გასამართად აიღო დიდი ოდენობის

შპს „საინფორმაციო კომუნიკაციების სისტემები“

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბრის

(ლარში)

უზრუნველყოფილი სესხი, რაც მთლიანად საინვესტიციო თანხაა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ის არ დგას დაფინანსების რისკის წინაშე და ახდენს საოპერაციო საქმიანობის საკუთარი კაპიტალით დაფინანსებას. სრული შემოსავლისა და ფინანსური მდგომარეობის მაჩვენებლების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

არაფინანსური მაჩვენებლები

	2024	2023	ცვლილება
სამუშაო ადგილების რაოდენობა	302	295	7

კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

კომპანიას არ აქვს კვლევა - ძიების სამუშაოები ჩატარებული წლის განმავლობაში

ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2024 წლის 31 დეკემბრისთვის არ მომხდარა კომპანიის მიერ საკუთარი აქციების შეძენა ან გასხვისება.

დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები არ საჭიროებს დამატებით განმარტებას. აღნიშნული ინფორმაცია განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საოპერაციო რისკები

კომპანიაში არსებობს ადამიანის რესურსების მართვასთან დაკავშირებული პოლიტიკა, რომელიც ხელს უწყობს საკმარისი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის მქონე კანდიდატების ძიებასა და შეფასებას. კომპანიის მენეჯმენტი და მფლობელები ზრუნავენ ბიზნესის ბუნებიდან გამომდინარე მნიშვნელოვან რისკებზე. უზრუნველყოფენ თანამშრომლების პროფესიულ განვითარებას.

ფინანსური რისკები

საოპერაციო რისკების გარდა, კომპანია საქმიანობის პროცესში დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. კომპანიის ძირითად ფინანსურ რისკებს წარმოადგენს საკრედიტო, ლიკვიდურობის, საპროცენტო განაკვეთებისა და სავალუტო რისკები.

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. უნდა აღინიშნოს რომ კომპანია არ დგას მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკების წინაშე საქმიანობის თავისებურებიდან გამომდინარე.

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. კომპანია საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზს.

ლიკვიდურობის რისკი იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა ახორციელებს სისტემატურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რომელიც აქტივების/ვალდებულებების მართვის პროცესია.

შპს „საინფორმაციო კომუნიკაციების სისტემები“

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად. კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების და ვალუტის კურსის ცვლილებებთან კავშირში. კომპანია დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგან მიმდინარე და შესადარის პერიოდში გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები. სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის.

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას კომპანიის მიზნებია:

- უზრუნველყოს, რომ ბიზნესმა გააგრძელოს ფუნქციონირება მფლობელების საკმარისი შეფერხების გარეშე; და
- შექმნას სარგებელი მფლობელებისთვის რისკის მისაღები დონის შეფასებით და შენარჩუნებით.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 21 ნოემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

ნ. მენთეშაშვილი

ფინანსური დირექტორი

მ. ჯაოშვილი

შპს „საინფორმაციო კომუნიკაციების სისტემები“

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად. კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების და ვალუტის კურსის ცვლილებებთან კავშირში. კომპანია დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგან მიმდინარე და შესადარის პერიოდში გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები. სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის.


კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას კომპანიის მიზნებია:

- უზრუნველყოს, რომ ბიზნესმა გააგრძელოს ფუნქციონირება მფლობელების საქმიანობის შეფერხების გარეშე; და
- შექმნას სარგებელი მფლობელებისთვის რისკის მისაღები დონის შეფასებით და შენარჩუნებით.


2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 21 ნოემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი



ნ. მენთეშვილი

ფინანსური დირექტორი



მ. ჯაოშვილი